


თავი III

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები

2014 წელს, 2013 წლის მსგავსად, სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებები არ განხორციელებულა და მხარჯავი დაწესებულებები მთელი წლის განმავლობაში ხარჯვას ახორციელებდნენ იმ საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში, რომლებიც პარლამენტის მიერ დამტკიცდა 2013 წლის დეკემბერში.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 9 080 000.0 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 9 009 812.2 ათასი ლარი, რაც გეგმიურ მაჩვენებელთან მიმართებაში 70 187.8 ათასი ლარით ნაკლებია ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.2%-ია.

2011-2014 წლების წლიური ფაქტიური შესრულება
წლიურ გეგმასთან მიმართებაში



შენიშვნა: 2011 წელს წლიურ საბიუჯეტო კანონში ცვლილება განხორციელდა 3 კერ (ბოლო კანონის ცვლილება დამტკიცდა 2011 წლის 24 ნოემბერს), ხოლო 2012 წელს - 4 კერ (ბოლო კანონის ცვლილება დამტკიცდა 2012 წლის 17 დეკემბერს).

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 7 539 613.4 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში ხარჯების დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 7 479 894.6 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტით დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის 99.2%-ია. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 7 479 426.2 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის თითქმის 100%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 734 125.3 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 717 742.5 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტით დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის 97.8%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 698 450.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.3%-ია.


სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 208 180.0 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 308 896.2 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტით დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის 148.4%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 272 202.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 88.1%-ია.

სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება განისაზღვრა 598 081.3 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 573 466.7 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტით დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის 95.9%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 559 733.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.6%-ია.

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
ასიგნებების სტრუქტურა
(საკასო შესრულება)



გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაფინანსების მიზნით განხორციელდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ

ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიებით და სახელმწიფო კომპენსაციებით. 2014 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება მოიპოვეს საერთაშორისო ოპერაციების ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას გარდაცვლილ ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო გარდაცვლილ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა ოჯახის წევრებმა, ასევე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებმა, თითოეულმა ოჯახმა 500 ლარის ოდენობით. სულ საანგარიშო პერიოდში საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამული კოდიდან გადარიცხულ იქნა 1 334.9 მლნ ლარი.

- სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული დატაკი და უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის სოციალური დახმარებისა და ბავშვთა ინსტიტუციებიდან ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებასთან დაკავშირებული რეინტეგრაციის შემწეობის გაცემა, ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობებით უზრუნველყოფა და შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

- 2014 წლის 1 მარტიდან ერთ დევნილზე, ლტოლვილსა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე გასაცემი ყოველთვიური შემწეობა გაიზარდა და განისაზღვრა 45 ლარით.

- სოციალური დახმარებების გასაცემად საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა სულ 614.9 მლნ ლარი.

- 2014 წელს „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით“ ეტაპობრივად მთლიანად ჩანაცვლდა (2014 წლის 1 სექტემბრიდან სრულად) ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამა.

- ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის ფარგლებში ხორციელდებოდა სამიზნე ჯგუფების, მათ შორის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის, სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატების, დევნილი მოსახლეობის, მზრუნველობამოკლებული ბავშვების, საჯარო სკოლების და ზოგიერთი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირების, ასევე 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვების, საპენსიო ასაკის მოსახლეობის, სტუდენტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა. საანგარიშო პერიოდში ქვეყნის მასშტაბით საქართველოს მოქალაქეებისათვის სამედიცინო დაზღვევის ფინანსური ხელმისაწვდომობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში მიიმართა 68.2 მლნ ლარი.

- „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის“ ფარგლებში (სრულად ამოქმედდა 2014 წლის 1 სექტემბრიდან), რომლის მიზანია ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოსახლეობისათვის ფინანსური უზრუნველყოფის შექმნა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება გადაუდებელ სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. პროგრამამ მოიცვა ასევე, გეგმიურ ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებები (გეგმიური ქირურგიული ოპერაციები მ.შ. კარდიოქირურგიული და ონკოლოგიური ოპერაციები, ონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა, მშობიარობა, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები და ა.შ.). სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 335.6 მლნ ლარი.

- „სოფლის ექიმი“ პროგრამის რეფორმის ფარგლებში გაიზარდა და მოწესრიგდა სოფლის ექიმისა და ექთნის ხელფასები 30%-ით.

- საქართველოს თავდაცვის, საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროების მიერ დაფინანსებულ იქნა მოსამსახურეთა სადაზღვევო პრემიები.

- საანგარიშო პერიოდში რეაბილიტაციისა და პროთეზირების მიზნით აშშ-ში გაიგზავნა 10 სამხედრო მოსამსახურე, რომლებმაც სამშვიდობო მისიებში და საქართველოს ტერიტორიული

მთლიანობისათვის ბრძოლაში მიღებული ტრავმის შედეგად დაკარგეს სხვადასხვა კიდური. ამისათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხიდან მიიმართა 3.0 მლნ ლარამდე.

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ხაზით:

- ✓ განხორციელდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი კომპაქტურად განსახლების ობიექტების კერძო საკუთრებაში გადაცემა 1 729 ოჯახზე;
- ✓ შეძენილი იქნა 152 საცხოვრებელი სახლი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში;
- ✓ განხორციელდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გამოუყენებელი, დაუმთავრებელი შენობების რეაბილიტაცია, სადაც გადაყვანილ იქნა 854 დევნილი ოჯახი;
- ✓ განხორციელდა 8 კომპაქტურად განსახლების ობიექტის გამოსყიდვა - სულ 420 ბინა;
- ✓ ჩინური კომპანია „ჰუალინგ ჯგუფისგან“ შეძენილი იქნა 261 ბინა ქ. თბილისში, ახლადშენებულ კორპუსებში, რაზეც საანგარიშო პერიოდში მიიმართა 16.2 მლნ ლარამდე. აღნიშნული ბინები დევნილ ოჯახებს საკუთრებაში გადაეცემათ 2015 წლის განმავლობაში;
- ✓ სახურავის შეკეთების სამუშაოები ჩაუტარდა 13 ობიექტს, ხოლო მიმდინარეობდა 15 ობიექტზე; წყალ-კანალიზაციის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 4 ობიექტს, მიმდინარეობდა - 11 ობიექტზე; გაზომარაგების სისტემის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები მიმდინარეობდა 9 ობიექტზე, ელექტროგაყვანილობის ქსელის მოწყობის სამუშაოები ჩაუტარდა 4 ობიექტს, მიმდინარეობდა - 1 ობიექტზე, სხვადასხვა სახის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა 6 ობიექტს, ხოლო მიმდინარეობდა 5 ობიექტზე; ამასთან, ქ. თბილისის მერიასთან თანადაფინანსებით სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 84 ობიექტს;
- ✓ 2014-2015 წლების ზამთრის სეზონში სათბობი საშუალებებით უზრუნველყოფისათვის 22 ათასამდე დევნილ ოჯახს გადაეცა ელექტრონული ბარათები, რომელზეც დარიცხული იყო 200 ლარი;
- ✓ სოციალური დახმარების სახით, ფინანსური დახმარება გაეწია 4 653 დევნილს, ასევე სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან უკიდურესად გაჭირვებულ 964 ოჯახს - საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით (ყოველთვიურად 200-დან 300 ლარამდე);
- ✓ სტიქიით დაზარალებული ოჯახებისათვის შეძენილი იქნა 36 საცხოვრებელი სახლი;

- ქვეყნის მასშტაბით არსებული 2 081 საჯარო და 239 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დასაფინანსებლად მიიმართა 374.6 მლნ ლარი.

- „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ქვეპროგრამის ფარგლებში წლის ბოლოსთვის ჩართული იყო 59 ინგლისურის და 15 ჩინური ენის მოხალისე მასწავლებელი, რომლებიც გადანაწილდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საჯარო სკოლებში.

- მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და პროფესიულ კოლეჯებში სულ დასაქმებულია 1 078 მანდატური, რომლებიც გადანაწილებულნი იყვნენ 400 საჯარო და 2 კერძო სკოლაში, 2 პროფესიულ სასწავლებელსა და 1 უნივერსიტეტში.

- წლის ბოლოსთვის არსებული მონაცემებით უზრუნველყოფილ იყო 1 066 საჯარო სკოლის 52 667 მოსწავლის უფასო ტრანსპორტირება სკოლებში იმ სოფლებიდან, სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და მანძილი სოფლებს შორის შესამჩნევია.

- პროგრამის „საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია“ ფარგლებში დასრულდა 6 საჯარო სკოლის მშენებლობა, 683 საჯარო სკოლას ჩაუტარდა სხვადასხვა ტიპის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები (მ.შ გაზიფირება, ავარიულობის შესწავლა, გათბობის სისტემის მოწყობა, ეზოს გამწვანება და სხვა), მოეწყო 14 საჯარო სკოლის სპორტული მოედანი, 148 საჯარო სკოლაში განხორციელდა სამედიცინო ოთახების მოწყობა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა (სსსმ) საჭიროებების გათვალისწინებით 131 საჯარო სკოლაში მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა, განხორციელდა 8 უმაღლესი საგანმანათლებლო და 11 პროფესიული სასწავლებლის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

- საქართველოს ყველა საჯარო სკოლის 42 600 პირველკლასელი მოსწავლესა და 2 650 დამრიგებელს გადაეცა საბავშვო - სასწავლო პორტატული კომპიუტერი, ასევე 1 629 წარჩინებული

მოსწავლე დაჯილდოვდა პორტატული კომპიუტერით. გარდა ამისა 174 საჯარო სკოლას გადაეცა 4 252, ხოლო 15 პროფესიულ სასწავლებელს 1 077 პერსონალური კომპიუტერი და 400 ცალი პორტაბელური კომპიუტერი.

- „სპორტსმენთა სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები გაეცა 430 სპორტსმენზე, მწვრთნელზე და საექიმო პერსონალზე. „ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა სოციალური დამხმარების“ პროგრამის ფარგლებში მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 308 ვეტერანმა სპორტსმენმა და სპორტის მუშაკმა მიიღო დახმარება. „ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები დანიშნული აქვს 31 სახელოვან სპორტსმენს, თითოეულს 1 000 ლარის ოდენობით.

- საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სპორტის ინდივიდუალურ ოლიმპიურ, არაოლიმპიურ და სპორტის ცალკეულ სათამაშო სახეობებში გამართულ სპორტულ შეჯიბრებებში მიღწეული შედეგების მიხედვით განხორციელდა საქართველოს ნაკრები გუნდების წევრთა, მწვრთნელთა და საექიმო პერსონალთა ფულადი პრიზებით დაჯილდოება. აღნიშნულისათვის მიიღარა 7.0 მლნ ლარზე მეტი.

- სპორტულ სახეობათა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 100 ადგილობრივი სპორტული შეჯიბრი და 190 სასწავლო - საწვრთნო შეკრება სპორტის 45 სახეობაში. ქართველმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 150 საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობაში და მოიპოვეს 541 მედალი.

- 2015 წელს ქ. თბილისში გასამართი, ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისათვის ოლიმპიური სტანდარტის დონის საცურაო აუზის ასაშენებლად და სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოსაწყობად საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დაფინანსება გაიზარდა 16.0 მლნ ლარით.

- ანაზღაურებულ იქნა ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიან სოფლებში (სეთურნი, ჯადმიანი, ზაქანი, ხადი და კაიშაური) მცხოვრები მოსახლეობის (3.1 ათასზე მეტი აბონენტი) მიერ მოხმარებული 8.1 მლნ მ³ ბუნებრივი აირის ღირებულება 3.3 მლნ ლარის ოდენობით.

- ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ანგარიშზე მიიღარა 50.0 მლნ ლარი - მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის დასაფინანსებლად, ერთწლიანი კულტურების წარმოების აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარების, ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების საწარმოო საშუალებების მიწოდების მიზნით, 10.0 მლნ ლარი - აგროდაზღვევის ღონისძიებების დაფინანსების უზრუნველსაყოფად, ხოლო 4.0 მლნ ლარი ვაშლის და 2.0 მლნ ლარი მანდარინის მოსავლის რეალიზაციის და ხელშეწყობის მიზნით. პროგრამის ფარგლებში მოხნულია 220 ათას ჰა-ზე მეტი მიწის ფართობი, გაცემულია 18.0 ათასზე მეტი შეღავათიანი სესხი (ლიზინგი), რის ფარგლებშიც დაფინანსდა 26 ახალი და გადაიარაღდა 306 არსებული საწარმო (პროექტში მონაწილეობდა 15 ბანკი).

- საანგარიშო პერიოდში ღვინის კომპანიების მიერ მიღებული და გადამუშავებულია სულ 122.2 ათასი ტონა ყურძენი, ხოლო სუბსიდირებულია - 108.5 ათასი ტონა, მათ შორის რქაწითელი - 72.5 ათასი ტონა, საფერავი - 34.0 ათასი ტონა, კახური მწვანე - 2.0 ათასი ტონა. აღნიშნულის მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღარა 31.0 მლნ ლარი.

- სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციისთვის მიიღარა 50.1 მლნ ლარი. მათ შორის: სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის დასაფინანსებლად და სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის შეძენის მიზნით 36.1 მლნ ლარი, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მიმდინარე ექსპლუატაციის ხარჯების და კომპანიის სხვა მიმდინარე ხარჯების ნაწილობრივი სუბსიდირების მიზნით 14.0 მლნ ლარი.

- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების მიზნით, გზების მოვლა-შენახვაზე ახალი მაგისტრალების, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე დახარჯული იქნა 526.4 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ გზების პერიოდული შეკეთებაზე და რეაბილიტაციაზე - 119.4 მლნ ლარი, მათ შორის შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტებზე (მსოფლიო ბანკი) – 37.1 მლნ ლარი.
- ✓ გზების მიმდინარე შეკეთებაზე და შენახვაზე ზამთრის პერიოდში - 36.7 მლნ ლარი.
- ✓ ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობაზე - 283.1 მლნ ლარი.
- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახარჯულ იქნა 173.0 მლნ ლარი, მათ შორის:
 - ✓ მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამაზე - 73.9 მლნ ლარი;
 - ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი I ნაწილი (კახეთი) პროექტზე - 7.2 მლნ ლარი.
 - ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი II ნაწილი (იმერეთი) პროექტზე - 19.0 მლნ ლარი.
- წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციაზე მიმართული იქნა 106.9 მლნ ლარი, მათ შორის:
 - ✓ წყლის ინფრასტრუქტურის განახლებაზე (I და II) - 48.8 მლნ ლარი.
 - ✓ ურბანული მომსახურების გაუმჯობესებაზე - 51.5 მლნ ლარი.
- დამწყები, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის და განვითარების, ასევე ექსპორტის ხელშეწყობის, წახალისების და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების კოორდინირებულად წარმართვის მიზნით შეიქმნა სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო და მის მიერ „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში ხელშეკრულებები გაფორმდა 23 ბენეფიციარ კომპანიასთან, რომელთა მოსალოდნელი ჯამური ინვესტიცია შეადგენს 36.0 მლნ აშშ დოლარს, ხოლო პარტნიორი ბანკების მიერ დამტკიცებული სესხების საერთო ოდენობა - 24.0 მლნ აშშ დოლარს. ასევე, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მონაწილეობით, შეირჩა საწარმოო საქმიანობისათვის განკუთვნილი 110 ობიექტი და განხორციელდა 26 სახელმწიფო ობიექტის გაცემა;
 - სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესის დაჩქარების ხელშეწყობისა და ქვეყნის ეკონომიკაში კერძო სექტორის გაძლიერების მიზნით ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებულია 537 ობიექტი, ხოლო პირდაპირი მიყიდვის ფორმით - 3 010 ობიექტი; ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს გადაეცათ 922 ერთეული ქონება, ხოლო მიეცა თანხმობა 453 ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრაციაზე;
 - ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პირველი და მეორე ტური ჩატარდა მშვიდ, ღია, გამჭვირვალე გარემოში და საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიების მიერ დადებითად შეფასდა. არჩევნებზე მიიმართა 30.4 მლნ ლარამდე;
 - საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობდა პოლიტიკური პარტიებისათვის გამოყოფილი თანხების განაწილების უზრუნველყოფა, დაფინანსდა 14 საარჩევნო სუბიექტი. საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსებისთვის მიიმართა 19.4 მლნ ლარამდე;
 - დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა ტუვალუსთან, ტოგოს, ჩადის, ბენინის, სან ტომე და პრინსიპეს რესპუბლიკებთან, საქართველოს საელჩოების მიერ განხორციელდა ტუვალუს, ვანუატუს, სომალის, კენიისა და ფილიპინების რესპუბლიკების დიპლომატიური გადაფარვა. შეძენილ იქნა შენობა აშშ-ში საქართველოს საელჩოსათვის, საუდის არაბეთის სამეფოში ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ. საქართველოს მიერ განხორციელებულ იქნა ყოველწლიური საწევრო შენატანი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში არსებულ ფონდებსა და გაეროს სამშვიდობო მისიაში.
 - ძალაში შევიდა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებას შვედეთთან, ხელი მოეწერა საქართველოსა და აზერბაიჯანის, საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკებს შორის საბაჟო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმებებს, საქართველოსა და ბელარუსის რესპუბლიკას და საქართველოსა და ლიტვის


რესპუბლიკას შორის საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლის შესახებ შეთანხმებებს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ყაზახეთის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს შორის საბაჟო კონტროლის ფორმების ურთიერთადიარების შესახებ ოქმს, შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან რატიფიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ;

- „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში” ცვლილებების შეტანის თაობაზე” შეთანხმების შესაბამისად 2014 წლის 15 მარტს განხორციელდა საქართველოს მთავრობის მიერ 2013 წლის 15 მარტს გამოშვებული 480 846.0 ათასი ლარის სახელმწიფო ობლიგაციების განახლება 440 846.0 ათასი ლარის ოდენობით, წლიური 6 პროცენტი სარგებლის გადახდით და 40 000.0 ათასი ლარის გადაფორმება სახელმწიფო ობლიგაციებად ღია ბაზრის ოპერაციებისათვის წლიური 7.3 პროცენტი სარგებლის გადახდით. ასევე, ზემოაღნიშნული შეთანხმების შესაბამისად, 2014 წლის 15 მარტს განხორციელდა 2009 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 5 000.0 ათასი ლარის ოდენობით, 2014 წლის 15 ივნისს განხორციელდა 2010 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 11 000.0 ათასი ლარის ოდენობით, 2014 წლის 15 სექტემბერს განხორციელდა 2011 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 10 000.0 ათასი ლარის ოდენობით და 2014 წლის 15 დეკემბერს განხორციელდა 2012 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 9 000.0 ათასი ლარის ოდენობით.

- საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიები გაიცა 603 დაჯილდოებულ პირზე. ამ მიზნით მიიმართა 564.2 ათასი ლარი.


სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

2013-2014 წლების ხარჯების მუხლის ფაქტიური შესრულება



„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 301 250.5 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა - 1 296 186.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.6%-ს შეადგენს. „შრომის ანაზღაურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 17.3%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების - 14.4%-ს შეადგენს.

2012-2014 წლების შრომის ანაზღაურების შემადგენელი მუხლების ფაქტიური შესრულება



„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 881 470.5 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 875 411.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.3%-ს შეადგენს. „საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 11.7%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების - 9.7%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული დანარჩენი ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 127 609.2 ათასი ლარი;
- მივლინებები - 62 482.2 ათასი ლარი;
- ოფისის ხარჯები - 184 158.5 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯები - 17 043.0 ათასი ლარი;
- კვების ხარჯები - 73 674.2 ათასი ლარი;
- სამედიცინო ხარჯები - 28 159.3 ათასი ლარი;
- რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 28 371.5 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 124 282.9 ათასი ლარი;
- სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები - 4 300.4 ათასი ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 225 330.0 ათასი ლარი.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 256 176.6 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 244 841.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 95.6%-ს შეადგენს და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული „ხარჯების“ 3.3%-ს შეადგენს. პროცენტის მუხლიდან

საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიმართული იქნა 139 483.4 ათასი ლარი, ხოლო საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე 105 181.3 ათასი ლარი.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 273 716.9 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 274 489.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 100.3%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული „ხარჯების“ 3.7%-ს შეადგენს.

სუბსიდიის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორცაა:

- ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო/კვლევითი დაწესებულებების ხელშეწყობისა და სამეცნიერო კვლევების პროგრამები - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 21 368.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 130.0%-ს შეადგენს;
- ✓ სახელოვნებო განათლების, ხელოვნების განვითარების ღონისძიებების და მუზეუმების ხელშეწყობისთვის - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 55 519.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.2%-ს შეადგენს;
- ✓ სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 42 923.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.7%-ს შეადგენს;
- ✓ სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი - აღნიშნული მიზნით მიიმართა 13 358.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია - ჯამურად მიიმართა 14 000.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებაზე ჯამურად მიიმართა 27 561.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 79.2%-ს შეადგენს;
- ✓ ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება - საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებაზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 3 268.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 54.5%-ს შეადგენს.

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 1 067 744.1 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (1 083 818.3 ათასი ლარი) 98.5%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული „ხარჯების“ 14.3%-ს შეადგენს.


„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 2 547 741.7 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური პარამეტრის (2 550 751.3 ათასი ლარი) 99.9%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული „ხარჯების“ 34.1%-ს შეადგენს.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- ✓ საპენსიო უზრუნველყოფა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 1 334 787.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ სოციალური დახმარებები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 614 895.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვებზე ზრუნვა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 17 307.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.0%-ს შეადგენს;
- ✓ ჯანმრთელობის დაზღვევა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 67 372.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;

- ✓ მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 335 624.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სამედიცინო მომსახურების პროგრამები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 143 841.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.4%-ს შეადგენს;

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
ხარჯების მუხლის სტრუქტურა
(საკასო შესრულება)



„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 132 710.5 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 1 173 012.1 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 103.6%-ს. „სხვა ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 15.7%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების - 13.0%-ს შეადგენს.


„სხვა ხარჯების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (მ.შ დევნილთა სახლების მშენებლობა/რეაბილიტაცია) - აღნიშნული მიზნით მიიმართა 108 546.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 198.8%-ს შეადგენს;
- პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 19 313.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.4%-ს შეადგენს;
- რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - აღნიშნული მიზნით მიიმართა 117 320.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 76.4%-ს შეადგენს;
- წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია - აღნიშნული მიზნით მიიმართა 49 045.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 70.4%-ს შეადგენს;
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 374 617.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 7 206.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.8%-ს შეადგენს;
- პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის და ხარისხის გაუმჯობესება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 8 572.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 21 746.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 106.5%-ს შეადგენს;

- სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები, დოქტორანტურის პროგრამები და ახალგაზრდების წახალისება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 74 161.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.2%-ს შეადგენს;
- საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - აღნიშნული მიზნით მიიმართა 45 521.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.3%-ს შეადგენს;
- ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს - მეორე პროექტი (ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია) - აღნიშნული მიზნით მიიმართა 12 969.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 44.2%-ს შეადგენს;
- შეღავათიანი აგროკრედიტები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 42 800.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 50 000.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100%-ს შეადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

2013-2014 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის ფაქტიური შესრულება
ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით



701 - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, 702 - თავდაცვა, 703 - საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, 704 - ეკონომიკური საქმიანობა, 705 - გარემოს დაცვა, 706 - საბინაო - კომუნალური მეურნეობა, 707 - ჯანმრთელობის დაცვა, 708-დასვენება, კულტურა და რელიგია, 709 - განათლება, 710 - სოციალური დაცვა

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს დაფინანსებამ შეადგინა 1 776 093.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (1 806 509.2 ათასი ლარი) 98.3%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 21.7%-ს შეადგენს. მათ შორის:

- ✓ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის, საგარეო ურთიერთობების დაფინანსებამ შეადგინა 346 556.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (355 890.0 ათასი ლარი) 97.4%-ია;
- ✓ საერთო დანიშნულების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 32 509.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (31 641.9 ათასი ლარი) 102.7%-ია;
- ✓ ფუნდამენტალური სამეცნიერო კვლევების დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 30 307.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (27 682.7 ათასი ლარი) 109.5%-ია;
- ✓ ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 244 664.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (256 000.0 ათასი ლარი) 95.6%-ია;
- ✓ საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის დაფინანსებამ (ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებზე გადაცემული ტრანსფერები) შეადგინა 1 055 565.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (1 067 861.5 ათასი ლარი) 98.8%;
- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 66 490.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (67.433.1 ათასი ლარი) 98.6%-ია.

- თავდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 638 281.2 ათასი ლარის გამოყოფა. საკასო შესრულებამ შეადგინა 639 636.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 100.2%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 7.8%. მათ შორის:

- ✓ შეიარაღებული ძალების დაფინანსებამ შეადგინა 598 550.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (597 560.6 ათასი ლარი) 100.2%;
- ✓ საგარეო სამხედრო დახმარების დაფინანსებამ შეადგინა 2 476.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (2 476.5 ათასი ლარი) 100.0%.
- ✓ თავდაცვის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 37 851.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (37 444.1 ათასი ლარი) 101.1%-ს შეადგენს.
- ✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ თავდაცვის სფეროში შეადგინა 758.7 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი მაჩვენებლის (800.0 ათასი ლარი) 94.8%-ია.

- საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილ იქნა 907 819.7 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 905 816.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.8%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 11.1%. მათ შორის:

- ✓ პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 643 062.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (641 610.4 ათასი ლარი) 100.2%;

- ✓ სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსებამ შეადგინა 101 372.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (102 192.1 ათასი ლარი) 99.2%-ს შეადგენს;
- ✓ სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 124 287.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (124 692.6 ათასი ლარი) 99.7%-ს შეადგენს;
- ✓ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 37 094.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (39 324.6 ათასი ლარი) 94.3%-ს შეადგენს.

• ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 1 021 301.3 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1 006 700.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98.6%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 12.3%. მათ შორის:

- ✓ საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 27 160.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (27 873.1 ათასი ლარი) 97.4%;
- ✓ სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსებამ შეადგინა 217 652.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (220 209.2 ათასი ლარი) 98.8%-ს შეადგენს;
- ✓ სათბობზე და ენერგეტიკაზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 85 163.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (29 627.1 ათასი ლარი) 287.5%-ს შეადგენს;
- ✓ სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობაზე და მშენებლობაზე მიმართული იყო 1 253.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (1 291.0 ათასი ლარი) 97.1%;
- ✓ ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 580 687.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (613 042.0 ათასი ლარი) 94.7%;
- ✓ ეკონომიკის სხვა დარგების დაფინანსებამ შეადგინა 64 898.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (98 333.0 ათასი ლარი) 66.0%;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 4 103.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (4 991.2 ათასი ლარი) 82.2%-ს შეადგენს;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 25 781.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (25 934.8 ათასი ლარი) 99.4%-ს შეადგენს.

• გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 36 763.3 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 37 547.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 102.1%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 0.5%. მათ შორის:

- ✓ ნარჩენების შეგროვების, გადამამუშავებისა და განადგურებისათვის დაგეგმილი იყო 300.0 ათასი ლარი, ხოლო თანხების ათვისება ვერ განხორციელდა;
- ✓ ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 18 401.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (17 856.4 ათასი ლარი) 103.1%-ს შეადგენს;
- ✓ გარემოს დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 19 145.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (18 606.9 ათასი ლარი) 102.9%-ს შეადგენს.

• საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 81 521.5 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 54 394.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 66.7%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 0.7%. მათ შორის:

- ✓ კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 5 077.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (11 616.5 ათასი ლარი) 43.7%-ს შეადგენს;
- ✓ წყალმომარაგების დაფინანსებამ შეადგინა 48 871.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (69 445.0 ათასი ლარი) 70.4%-ს შეადგენს.
- ✓ საბინაო კომუნალური მეურნეობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 446.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (460.0 ათასი ლარი) 97.0%-ს შეადგენს.

- ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 642 960.4 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 652 906.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 101.5%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 8.0%. მათ შორის:

- ✓ სამედიცინო პროდუქციის, მოწყობილობების და აპარატების დაფინანსებამ შეადგინა 19 935.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (20 047.5 ათასი ლარი) 99.4%;
- ✓ ამბულატორიული მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 370 431.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (370 689.4 ათასი ლარი) 99.9%-ს შეადგენს;
- ✓ საავადმყოფოების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 93 547.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (81 381.8 ათასი ლარი) 114.9%;
- ✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 42 460.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (43 441.1 ათასი ლარი) 97.7%-ს შეადგენს;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 126 529.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (127 400.6 ათასი ლარი) 99.3%-ს შეადგენს.

- დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 182 966.4 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 190 258.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 104.0%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 2.3%. მათ შორის:

- ✓ დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 50 082.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (50 328.4 ათასი ლარი) 99.5%;
- ✓ კულტურის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 88 478.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (80 088.6 ათასი ლარი) 110.5%-ს შეადგენს;
- ✓ ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 43 046.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (43 746.2 ათასი ლარი) 98.4%-ს შეადგენს;
- ✓ რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 804.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (804.1 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 7 846.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (7 999.0 ათასი ლარი) 98.1%-ს შეადგენს.

- განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 755 242.3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 739 660.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97.9%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 9.0%. მათ შორის:


- ✓ ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 521 185.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (524 808.0 ათასი ლარი) 99.3%-ს შეადგენს;

- ✓ პროფესიული განათლების დაფინანსებამ შეადგინა 14 963.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (15 089.8 ათასი ლარი) 99.2%;
- ✓ უმაღლესი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 87 933.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (82 683.4 ათასი ლარი) 106.3%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 21 257.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (21 387.0 ათასი ლარი) 99.4%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 94 321.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (111 274.2 ათასი ლარი) 84.8%-ს შეადგენს.

• სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 2 124 271.8 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 2 174 861.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 102.4%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 26.6%. მათ შორის:

- ✓ ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 5 339.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (5 749.9 ათასი ლარი) 92.9%;
- ✓ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 1 335 086.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 335 093.0 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 639 501.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (639 879.7 ათასი ლარი) 99.9%;
- ✓ საცხოვრებლით უზრუნველყოფის დაფინანსებამ შეადგინა 10 023.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (10 068.7 ათასი ლარი) 99.5%;
- ✓ სოციალური გაუცხოების საკითხების, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას, დაფინანსებამ შეადგინა 146 579.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (92 834.6 ათასი ლარი) 157.9%;
- ✓ სოციალური დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 38 331.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (40 645.9 ათასი ლარი) 94.3%-ს შეადგენს.

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში



შენიშვნა: მუნიციპალიტეტებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებზე გადარიცხული ტრანსფერების გამოკლებით საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სახით გაწეულ იქნა 720,527.8 ათასი ლარი, რაც ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მთლიანი გადასახდელების 8.8%-ს შეადგენს

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდის ასიგნებები განისაზღვრა 50 000.0 ათასი ლარით. ამასთან, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 31-ე მუხლის მე-4 ნაწილის და „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებებით განხორციელდა სხვადასხვა მხარჯავი დაწესებულების ასიგნებებიდან (ძირითადად ტენდერებიდან წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე) თანხის გადანაწილება საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებში და მთავრობის სარეზერვო ფონდი გაიზარდა 11 252.9 ათასი ლარით. ასევე, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებების შემცირების ხარჯზე საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი გაიზარდა 30 000.0 ათასი ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფონდის ასიგნებები წლის ბოლოს განისაზღვრა 91 252.9 ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს მთავრობის განკარგულებებით და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებებით საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 88 005.5 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 82 741.4 ათასი ლარი.

ლარებში

| დოკუმენტის თარიღი და ნომერი | თანხის გაცემის მიზანი | ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა | გამოყოფილი თანხა | საკასო ხარჯი | გადახრა |
|---|--|-----------------------------------|---------------------|---------------------|--------------------|
| საქართველოს მთავრობის კანცელარია | | 15,451,675.7 | 15,451,675.7 | 13,901,991.5 | 1,549,684.2 |
| საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება N21 10.01.14. | საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შეუფერხებელი და თანმიმდევრული განხორციელების მიზნით, საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად | 3,250,000.0 | 3,250,000.0 | 3,226,772.3 | 23,227.7 |
| საქართველოს მთავრობის განკარგულება N437 13.03.14. | საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიებისათვის | 1,750,000.0 | 1,750,000.0 | 1,750,000.0 | 0.0 |
| საქართველოს მთავრობის განკარგულება N643 10.04.14. | საქართველოს მთავრობის კანცელარიის, ეკონომიკური და სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოების შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით | 7,000,000.0 | 7,000,000.0 | 5,686,992.2 | 1,313,007.8 |
| საქართველოს მთავრობის განკარგულება N1115 23.06.14. | „ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ხელმოწერიდან გამომდინარე, ქ.თბილისსა და ქ. ბათუმში 2014 წლის 27-28 ივნისს საზეიმო ღონისძიებებისა და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა ხარჯების დაფინანსების მიზნით | 998,000.0 | 998,000.0 | 853,686.6 | 144,313.4 |
| საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება N209 11.07.14. | საქართველოს ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირის - საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის დაკრძალვასთან დაკავშირებული ზოგიერთი ხარჯის დაფინანსების მიზნით | 91,000.0 | 91,000.0 | 88,349.3 | 2,650.7 |
| საქართველოს მთავრობის განკარგულება N1326 | საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების საკომუნიკაციო სტრატეგიის განვითარების | 520,590.0 | 520,590.0 | 486,561.6 | 34,028.4 |

| დოკუმენტის თარიღი და ნომერი | თანხის გაცემის მიზანი | ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა | გამოყოფილი თანხა | საკასო ბარჯი | გადახრა |
|---|---|-----------------------------------|--------------------|--------------------|-----------------|
| 01.08.14. | ხელშეწყობისათვის, კომპანია „The Harbour Grup“ - ისაგან საჯარო მოსამსახურეთა ტრენინგების ჩატარებისა და დისტანციური საკონსულტაციო მომსახურებების შესყიდვისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით | | | | |
| საქართველოს მთავრობის განკარგულება N1549 08.09.14. | „ქართველთა და ებრაელთა 26 საუკუნოვანი მეგობრობისადმი მიძღვნილი ღონისძიებების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის ივნისის N1007 განკარგულებით განსაზღვრული ღონისძიებების განსახორციელებლად საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით | 395,000.0 | 395,000.0 | 394,470.5 | 529.5 |
| საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება N357 07.10.14. | ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდის ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსების მიზნით | 60,000.0 | 60,000.0 | 58,756.4 | 1,243.6 |
| საქართველოს მთავრობის განკარგულება N1926 28.10.14. | საქართველოს მთავრობის ორწლიანი მუშაობის შედეგების ამსახველი ანგარიშის საზოგადოებისათვის გასაცნობად საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით | 363,000.0 | 363,000.0 | 332,320.0 | 30,680.0 |
| საქართველოს მთავრობის განკარგულება N2119 28.11.14. | საქართველოსათვის მინიჭებული საერთაშორისო სუვერენული საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესებისა და უცხოელ ინვესორებს შორის საქართველოს ცნობადობის გაზრდის ხელშესაწყობად, საქართველოს მთავრობის კანცელარიისა და კომპანია „Lazard Freres“ შორის დაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მიზნით | 1,024,085.7 | 1,024,085.7 | 1,024,082.7 | 3.0 |
| საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია | | 4,335,188.0 | 4,335,188.0 | 4,334,836.9 | 351.1 |
| საქართველოს მთავრობის განკარგულება N1138 26.06.14. | 2014 წლის 15 ივნისს ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით | 2,565,000.0 | 2,565,000.0 | 2,564,648.9 | 351.1 |
| საქართველოს მთავრობის განკარგულება N1327 01.08.14. | „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 56-ე მუხლის შესაბამისად, 2014 წლის 15 ივნისს ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნო კამპანიისთვის გაწეული ხარჯების დაფინანსების მიზნით | 1,770,188.0 | 1,770,188.0 | 1,770,188.0 | 0.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში | | 75,000.0 | 75,000.0 | 71,572.0 | 3,428.0 |
| საქართველოს მთავრობის განკარგულება N1478 26.08.14. | შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით | 75,000.0 | 75,000.0 | 71,572.0 | 3,428.0 |
| ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია | | 145,000.0 | 145,000.0 | 129,940.5 | 15,059.5 |
| საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება N212 16.07.14. | ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციების სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ სანაპირო ზოლში სამაშველო და პრევენციული მოქმედებების უზრუნველყოფის მიზნით | 75,000.0 | 75,000.0 | 61,430.7 | 13,569.3 |
| საქართველოს მთავრობის განკარგულება N1478 26.08.14. | შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით | 70,000.0 | 70,000.0 | 68,509.8 | 1,490.2 |
| სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ზაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ქუთაისში | | 200,000.0 | 200,000.0 | 199,420.1 | 579.9 |
| საქართველოს მთავრობის განკარგულება N1478 26.08.14. | შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით | 200,000.0 | 200,000.0 | 199,420.1 | 579.9 |

| დოკუმენტის თარიღი და ნომერი | თანხის გაცემის მიზანი | ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა | გამოყოფილი თანხა | საკასო ხარჯი | გადახრა |
|---|--|-----------------------------------|--------------------|--------------------|-----------------|
| სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის და ყვარლის მუნიციპალიტეტებში | | 75,000.0 | 75,000.0 | 49,845.6 | 25,154.4 |
| საქართველოს მთავრობის განკარგულება N1478 26.08.14. | შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით | 75,000.0 | 75,000.0 | 49,845.6 | 25,154.4 |
| სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში | | 100,000.0 | 100,000.0 | 98,805.6 | 1,194.4 |
| საქართველოს მთავრობის განკარგულება N1478 26.08.14. | შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით | 100,000.0 | 100,000.0 | 98,805.6 | 1,194.4 |
| სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში | | 95,000.0 | 95,000.0 | 89,877.6 | 5,122.5 |
| საქართველოს მთავრობის განკარგულება N1478 26.08.14. | შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით | 95,000.0 | 95,000.0 | 89,877.6 | 5,122.5 |
| სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში | | 75,000.0 | 75,000.0 | 74,566.4 | 433.6 |
| საქართველოს მთავრობის განკარგულება N1478 26.08.14. | შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით | 75,000.0 | 75,000.0 | 74,566.4 | 433.6 |
| სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ რუსთავში | | 90,000.0 | 90,000.0 | 73,693.3 | 16,306.7 |
| საქართველოს მთავრობის განკარგულება N1478 26.08.14. | შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით | 90,000.0 | 90,000.0 | 73,693.3 | 16,306.7 |
| სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში | | 60,000.0 | 60,000.0 | 21,048.8 | 38,951.2 |
| საქართველოს მთავრობის განკარგულება N1478 26.08.14. | შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით | 60,000.0 | 60,000.0 | 21,048.8 | 38,951.2 |
| ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი | | 2,624,008.0 | 2,293,961.8 | 2,273,321.8 | 20,640.0 |
| საქართველოს მთავრობის განკარგულება N36 13.01.14. | ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შეუფერხებელი და თანმიმდევრული განხორციელების მიზნით, სათანადო ღონისძიებების მაღალ დონეზე მომზადებისათვის აუცილებელი მომსახურების შეძენის ხარჯების დასაფინანსებლად | 2,100,000.0 | 1,834,415.0 | 1,834,414.2 | 0.8 |
| საქართველოს მთავრობის განკარგულება N314 20.02.14. | ქ. თბილისში 2014 წლის 26-28 მარტს საერთაშორისო კონფერენციის „ეკონომიკური ინტეგრაციის ევროკავშირთან - პერსპექტივები და შესაძლებლობები“ მაღალ დონეზე ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით | 129,208.0 | 129,207.5 | 129,207.5 | 0.0 |
| საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება N79 04.04.14. | 2014 წლის 7-14 აპრილს ნატოს კვირეულის ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით | 16,500.0 | 16,500.0 | 16,495.0 | 5.0 |
| საქართველოს მთავრობის განკარგულება N1137 26.06.14. | ქ. ბათუმში 2014 წლის 10-11 ივლისის დაგეგმილი საერთაშორისო კონფერენციის „საქართველოს ევროპული გზა“ მაღალ დონეზე ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით | 250,000.0 | 185,539.3 | 185,539.3 | 0.0 |
| საქართველოს მთავრობის განკარგულება N1328 01.08.14. | ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით | 128,300.0 | 128,300.0 | 107,665.9 | 20,634.1 |
| დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი | | 614,231.2 | 360,484.0 | 356,151.0 | 4,333.0 |
| საქართველოს მთავრობის განკარგულება N688 14.04.14. | ქართული დიასპორის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებული ღონისძიებების დასაფინანსებლად | 135,484.0 | 135,484.0 | 135,483.5 | 0.5 |
